Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№24, ივნისი, 2023

პოლონეთ-უკრაინის საგარეო ურთიერთობების ტრანსფორმაცია

(ომამდე და ომის შემდეგ)

თამარი ბიბიჩაძე

თენგიზ ჯანანაშვილი

პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tamari.bibichadze373@sps.tsu.ge

E-mail: tengiz.jananashvili340@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია განისაზღვროს პოლონეთ-უკრაინის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმაციის ძირითადი მახასიათებლები. საკითხის ემპირიული ანალიზისთვის გამოყენებულია, როგორც გეოეკონომიკური სტრატეგიები: გეოეკონომიკური ლანდშაფტი, ქვეყნებს შორის დადებული მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, ინტერესები, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები და მათი ურთიერთდამოკიდებულება ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში.

ნაშრომის საკვლევ კითხვას წარმოადგენს, თუ რა როლს ასრულებს პოლონეთის და უკრაინის გეოეკონომიკური სტრატეგიები ამ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე? საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად დავისახეთ შემდეგი ამოცანები: შევისწავლოთ აკადემიური მასალა სამიზნე ქვეყნების გეოპოლიტიკური და გეოეკონომიური ურთიერთობების შესახებ, გავაანალიზოთ სტატისტიკური მონაცემები და ორ ქვეყანას შორის დადებული მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პარალელურად, უკრაინაში მიმდინარე ომმა დიდი მნიშვნელობა შესძინა სამხედრო თანამშრომლობასა და რეგიონულ სამხედრო ბლოკებს. საქმე გვაქვს სიტუაციასთან, რომელიც ამოვარდნილია გლობალური კონტექსტიდან, ანუ გეოპოლიტიკურმა პრიორიტეტებმა დომინანტური პოზიცია დაიკავა გეოეკონომიკურ ინტერესებთან შედარებით.

კვლევის პრობლემის ძირითადი მახასიათებელია საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების მიერ დიდი ხნის განმავლობაში გეოეკონომიკის, როგორც ასეთის, იგნორირება და კონცენტრირება მხოლოდ გეოპოლიტიკურ ურთიერთობებზე, მაშინ როცა ორივეს სინთეზი განაპირობებს ქვეყნებს შორის ურთიერთობების მთავარ ლოგიკას. ასევე, მთავარ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს საკვლევ ქვეყნებთან დაკავშირებით გეოეკონომიკური სტრატეგიის სისტემური ანალიზის ნაკლებობა.

საკითხის აქტუალურობას განაპირობებს რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი, პოლონეთის, როგორც უკრაინის მოკავშირის ჩართულობა უკრაინის დასახმარებლად და ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთდახმარების უპრეცედენტო შემთხვევები.

ორივე ქვეყნისთვის რეგიონში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთის ფედერაცია, შესაბამისად, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და ამ მხრივ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებები ორი ქვეყნის ურთიერთობებში გარდამტეხ როლს ასრულებს, რადგან ზრდის გეოპოლიტიკური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს ეკონომიკური მეთოდებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობების ძირითადი ტენდენციების გამოსავლენად ნაშრომში განხილული იქნება არა მარტო ეკონომიკური საკითხები, არამედ სამხედრო და პოლიტიკური, რომელთა სინთეზი განაპირობებს პოლონეთ-უკრაინის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს.

კვლევის მთავარი მიგნება სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ურთიერთობების დადებითი დინამიკაა, რომელიც სინერგიაში განაპირობებს ორ სახელმწიფოს შორის ყოვლისმომცველი ურთიერთობების ჩარჩოს. ამასთან, როგორც შედეგებმა ცხადყო, რეგიონში მთავარ საფრთხეს რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს, შესაბამისად, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულებები პოლონეთსა და უკრაინისთვის გარდამტეხ როლს ასრულებს. არსებული ტენდენციები გავლენას ახდენს სოციალურ დინამიკაზე, რომელიც გამოიხატება მიგრანტთა დიდი რაოდენობით.

საკვანძო სიტყვები: პოლონეთი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, გეოეკონომიკა, პოლიტიკის ეკონომიზაცია.

შესავალი

საერთაშორისო დღის წესრიგში მომხდარმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა და რუსეთის აგრესიამ უკრაინის მიმართ აქტუალური გახადა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენები. განსაკუთრებით წინა პლანზე გადმოსწია სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობა. ამ მხრივ, კარგ მაგალითს წარმოადგენს პოლონეთისა და უკრაინის მრავალწლიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ ორ სახელმწიფოს შორის პერიოდულად იჩენდა თავს სხვადასხვა სახის დაპირისპირება, თუმცა ყოველივე ამის მიუხედავად, დღესდღეობით პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობები გამოირჩევა დადებითი დინამიკით (Klymchuk, 2022). მიგრანტების მიღება, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გაწეული ხარჯები, ჰუმანიტარული დახმარება, რასაც ემატება ეკონომიკური და სხვა სახის მხარდაჭერა აღრმავებს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს და ხაზს უსვამს პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესის სიცხადეს.

პოსტ-სოციალისტური ქვეყნებიდან ერთ-ერთ ყველაზე პოლიტიკურად აქტიურ და ძლიერ სახელმწიფოდ აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპის რეგიონში პოლონეთი გვევლინება, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე გამქრალი იყო გეოპოლიტიკური რადარებიდან და სსრკ-ის სატელიტს წარმოადგენდა. მე-20 საუკუნის ბოლოს ევროპაში ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შეიქმნა. დაიშალა საბჭოთა იმპერია, პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოები გაჩნდნენ, ხოლო ზოგიერთი სახელმწიფოს გეოპოლიტიკა კარდინალურად შეიცვალა. ამ მხრივ საინტერესოა, პოლონეთის გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისკენ გადასვლის შესწავლა. პოლონეთი კვლავ ცდილობს ისტორიული ძლიერებისა და რეგიონში გავლენის დაბრუნებას. თუმცა მის მცდელობას უკვე სხვა სახე აქვს. ქვეყნის ხედვები აღარ არის დამყარებული სამხედრო ძლიერებაზე. დღესდღეობით, მის მთავარ მიზნად შეგვიძლია ჩავთვალოთ რეგიონში ეკონომიკური პირველობა და მეზობელ სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირების გამყარება. მათ შორის, ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს უკრაინა (Reeves, 2021).

პოლონეთ-უკრაინის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ მათ შორის თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ფასეულობებსა და ინტერესებს. ამასთან ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების აუცილებლობას განაპირობებს არა მარტო რომელიმე სახელმწიფოს მისწრაფება რეგიონში ეკონომიკური პირველობის მოსაპოვებლად, არამედ გეოპოლიტიკის ეკონომიზაციის ტენდენცია, რომელიც ხაზს უსვამს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის მნიშვნელობას და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აუცილებლობას მდგრადი განვითარებისთვის. დღესდღეობით აშკარად ჩანს ეკონომიკური ცვლადების გავლენა პოლიტიკურ ფაქტორებზე (Wallerstein, 1979).

პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობების ისტორიული დისკურსი და გეოეკონომიკური ლანდშაფტების შედარებითი ანალიზი გვაძლევს ორ ქვეყანას შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობების შესწავლის საშუალებას. ემპირიული დასკვნების გამოსატანად ნაშრომში განხილულია, ორი ქვეყნის ისტორიული წარსული, სასაქონლო სტრუქტურა და სხვადასხვა ხელშეკრულებების ანალიზი რუსეთ-უკრაინის ომამდე და ომის შემდგომ, რითაც საშუალება გვაქვს დავაკვირდეთ შედეგების მატრიცას.

ლიტერატურის მიმოხილვა

პოლონეთსა და უკრაინას შორის კეთილმეზობლობის, მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაღრმავებას მრავალი ფაქტორი უძღოდა წინ. მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო კულტურული კავშირების, საერთო ისტორიისა და გრძელვადიანი სოციალური კავშირების გათვალისწინებით ცხადი გახდა, რომ პოლონეთისა და უკრაინის ერთადერთი გზა ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობა იყო, მით უმეტესს იმიტომ, რომ ორივე სახელმწიფოს გააჩნდა საერთო ინტერესები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში უსაფრთხოების გამოწვევების ფონზე (Polish Government, 2022). ორ ქვეყანას შორის განსაკუთრებული ურთიერთობების არსებობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პოლონეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა უკრაინის დამოუკიდებლობა და სოლიდარობა გამოუცხადა სახელმწიფოს.

პოლონეთ-უკრაინის გეოეკონომიკური ურთიერთობების ძირითად მახასიათებლებზე საუბრისას, პირველ რიგში აუცილებელია ჩავუღრმავდეთ გეოეკონომიკის საფუძვლებს, რის შემდეგაც შესაძლებლობა მოგვეცემა გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

ნეოლოგიზმი ,,გეოეკონომიკა“ ახალგაზრდა, მულტიდისციპლინალური ხასიათის ტერმინია, რომელიც პირველად 1942 წელს რენერმა გამოიყენა (Kvinikadze, 2017) და რომელშიც ფართოდ გვხვდება მომიჯნავე მეცნიერებების, უპირველეს ყოვლისა კი გეოპოლიტიკის, ეკონომიკური გეოგრაფიის და ეკონომიკური მეცნიერების ტერმინოლოგიური აპარატი.

ცნობილი ამერიკელი სამხედრო სტრატეგი ედვარდ ლუტვაკი სტატიაში „გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ“ აღნიშნავს, რომ სამხედრო ძლიერება აღარ არის იმდენად მნიშვნელოვანი

რამდენადაც ეკონომიკური, ხოლო სავაჭრო მეთოდები ავიწროებენ სამხედრო მეთოდებს. გლობალურ სამყაროში ახალი ტიპის იარაღი გამოიყენება - სანქციები, ემბარგო, კვოტები და ა.შ. ნაშრომში მნიშვნელოვანია შემდეგი წინადადება: „ყველა იმ ახალ ფუნქციებთან ერთად, რაც სახელმწიფომ შეიძინა დროთა განმავლობაში, მის მთავარ ფუნქციას კვლავაც წარმოადგენს თავდაცვა გარეშე მტრებისგან“. ავტორის აზრით, გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკაზე გადასვლა ახალ რეალობასა და სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირების განსხვავებულ ლოგიკას განაპირობებს (Luttwak, 1990). ამ მხრივ, მართალია რუსეთი გამონაკლისს წარმოადგენს და იგი ნამდვილად იყენებს ,,წინა საუკუნის“ გეოპოლიტიკურ მეთოდებს, თუმცა განვითარებული ქვეყნების უმრავლესობისთვის ეკონომიკური მეთოდების გამოყენება გაცილებით პრიორიტეტული გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

პოლონეთ-უკრაინას შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები დადებითი დინამიკით ხასიათდება. ამ ურთიერთობების კვლევაში დიდი ყურადღება ეთმობა ისტორიულ ტრავმასა და ქვეყნებს შორის არსებულ სადავო საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ათწლეულებია არ კარგავს აქტუალობას, ამაზე არაერთი წიგნი და სამეცნიერო სტატია დაიწერა. პოლონელების ხოცვა-ჟლეტა ვოლინში, უკრაინის განმათავისუფლებელი არმია, სტეპან ბანდერა, უკრაინელების მასობრივი გასახლება პოლონეთიდან - ყველა ეს თემა პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობების უარყოფით მხარეს წარმოადგენს. ტიმოთი სნაიდერი წიგნში „ერების რეკონსტრუქცია“ კარგად აღწერს პოლონელებისა და უკრაინელების მტრობისა და მეგობრობის გამოცდილებას. XX საუკუნეში ძირითადი დავა ტერიტორიებს ეხებოდა - ვოლინი და გალიცია. ამ მიწებზე უკრაინელი ნაციონალისტები მასობრივად ანადგურებდნენ პოლონელებს. ომის შემდეგ პოლონეთის მთავრობამ 500 ათასზე მეტი უკრაინელი ქვეყნიდან განდევნა. ეს ისტორიული ფაქტები მძიმედ აისახა ორი ერის ისტორიულ მეხსიერებაზე (სნაიდერი, 2021). უახლესი კვლევებიდან, აღსანიშნავია ლ. ადამსკის სტატია, რომელიც პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობების აღნიშნული სადავო საკითხის დღევანდელ პერსპექტივას აღწერს (Adamski, 2016). ეჟი გედროიცმა და იულიუშ მეროშევსკიმ უარყვეს პოლონური რევანშიზმი და იმპერიალისტური მიზნები. პარიზში დაფუძნებულ პოლონურ ჟურნალ „კულტურაში“ ავტორები ბელარუსებთან, ლიეტუველებსა და უკრაინელებთან შერიგებისა და თანამშრომლობის შესახებ წერდნენ. ეჟი გედროიცის თანახმად: „შეუძლებელია არსებობდეს დამოუკიდებელი პოლონეთი დამოუკიდებელი უკრაინის გარეშე“. პრინციპი „თქვენი და ჩვენი თავისუფლებისთვის“ წამყვანი გახდა ვარშავის საგარეო პოლიტიკაში (Stryjek & Konieczna-Sałamatin, 2021) (სნაიდერი, 2021). „გედროიცის კონცეფციამ“ განსაზღვრა ვარშავის შემდგომი ურთიერთობები ახალ მეზობლებთან (ლიეტუვა, ბელარუსი, უკრაინა). 1991 წელს პოლონეთ-უკრაინის ხელშეკრულების დადებისას, ვარშავა ევროპულ სტანდარტებს დაეყრდნო და არ შეურია ერთმანეთში ისტორია და დიპლომატია (Lukasik, 2020).

ერთი მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიული მეხსიერების საკითხების კვლევა, მეორე მხრივ ეს გარკვეულწილად ჩრდილავს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან თემებს, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობებში არსებობს: ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა, ევროატლანტიკური

ინტეგრაციის პერსპექტივა, აღმოსავლეთ საზღვრების უსაფრთხოება, განათლება, თავდაცვა და სხვ. პ. ლუკასიკი პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობებს რუსეთიდან მომავალი საფრთხეების ჩარჩოში განიხილავს. ავტორი აღწერს, თუ როგორ შეცვალა ომმა ორი ქვეყნის ურთიერთობა, როგორ გაღრმავდა სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური თანამშრომლობა. ლუკასიკის თქმით, უკრაინის სტაბილურობა პირდაპირ აისახება პოლონეთისა და ნატოს აღმოსავლეთი ფლანგის უსაფრთხოებაზე. ვარშავის ინტერესშია რუსეთის შეჩერება და კიევის დახმარება (Lukasik, 2020). კლიმჩუკი ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობას იკვლევს, მის სტატიაში წარმოდგენილია 1991-2022 წლებში პოლონეთსა და უკრაინას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები და სტრატეგია. ავტორის აზრით, კრემლის აგრესიამ დააახლოვა კიევი ვარშავასთან, ნატოსა და ევროკავშირთან. ქვეყნის სამხედრო პოტენციალის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი პოლონეთმა შეასრულა. 2022 წელს ვარშავის სამხედრო დახმარება $1,6 მლრდ გადააჭარბა (Klymchuk, 2022). ბოლო კვლევები ძირითად აქცენტს 2022 წელს დაწყებული რუსეთის ფართომასშტაბიანი აგრესიის ფონზე, პოლონეთის სამხედრო (Карівець, 2022) (Бучин, 2022) და ჰუმანიტარულ დახმარებაზე (Бойко & Скокова, 2022) აკეთებენ. უკრაინელი ავტორები ხაზს უსვამენ პოლონურ სოლიდარობასა და წამყვან როლს ქვეყნის თავისუფლებისა და სუვერენიტეტის დაცვაში.

თუ საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით, ცივი ომის შემდგომ, პოლონეთმა დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება. პოლონეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ე.წ. ,,შოკური თერაპიით“ დაიწყო, რაც წარმატებით განახორციელა. რეფორმას სათავეში ჩაუდგა იმდროინდელი ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი, პრ. ბალცეროვიჩი, შესაბამისად ეკონომიკური რეფორმის გეგმას მისი სახელი ეწოდა (პაპავა, 2002). რამეთუ გეოეკონომიკური ურთიერთობების გაანალიზება დიდწილად ეკონომიკურ ცოდნას მოითხოვს, მოვიხმობ ძირითად ღონისძიებებს, რომლებიც წარმატებით გაატარეს პოლონეთში. მათ შორის მთავარი იყო ინფლაციური პროცესების შეგნებული ხელშეწყობა, რაც წონასწორობის აღდგენის მიზნით გაკეთდა, სახელმწიფო ბიუჯეტის შეკვეცა, საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, საპროცენტო განაკვეთების ზრდა, შიდა ბაზარზე ზლოტის კონვერტირების უზრუნველყოფა, ახალი საბაჟო ტარიფების შემოღება ექსპორტის სტიმულირების გზით და ა.შ (Алексашенко, 1990) ყოველივე ამან შესაბამისად დააჩქარა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით იგი რეგიონში დაწინაურდა. პარალელურად დაიწყო მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების გაღრმავება.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, პოლონეთ-უკრაინის გზა ინტენსიური დიალოგისა და თანამშრომლობისკენ ვაჭრობის, პოლიტიკის, კულტურის, თავდაცვის, სპორტის და მრავალ სხვა სფეროებში, როგორც საპარლამენტო, ასევე სამთავრობო და ადგილობრივ დონეზე ცხადყოფს ორი ქვეყნის მისწრაფებებს ითანამშრომლონ ნებისმიერ დონეზე, რისთვისაც შეიქმნა მრავალი ინსტიტუციური ფორმა, მათ შორის აღსანიშნავია საპრეზიდენტო მრჩეველთა კომიტეტი, სამთავრობოთაშორისო კომისია, საბჭო და პოლონეთ-უკრაინის საპარლამენტო ასამბლეა. თითოეული ზემოთ აღნიშნული დაკავშირებულია სხვადასხვა სამინისტროებთან, მათ შორის

უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობოთაშორისო კომისია და საკოორდინაციო საბჭო რეგიონთაშორისი ურთიერთობებისთვის. პოლონეთ-უკრაინის განსაკუთრებულ ურთიერთობებზე მეტყველებს მუდმივი კონფერენცია, რომელიც შექმნილია უკრაინისთვის პოლონეთის ევროპასთან ინტეგრაციის გამოცდილების გასაზიარებლად, გეოეკონომიკური ინსტრუმენტების ხაზგასასმელად შეგვიძლია ვახსენოთ ეკონომიკური ფორუმები, რომლებიც ინტენსიურად ტარდება და მათი მიზანია ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა სფეროებში (Solomchuk, 2021).

პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობებში მნიშვნელოვანია პოლონელ და უკრაინელ ერებს შორის დაახლოების, პიროვნების კავშირების გაღრმავებისა და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა. ბევრი ექსპერტის აზრით, ზემოაღნიშნულმა შედეგები გამოიღო, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე. პოლონელი მოხალისეების ჩართულობა ომში უკრაინელების მხარეს, ჰუმანიტარული დახმარება, საქველმოქმედო კამპანიები და სასაზღვრო პუნქტებში მათი აქტიურობა, რასაც ემატება ლტოლვითა ცენტრებში უკრაინელების მორალური და ფიზიკური მხარდაჭერა ცხადყოფს ორი ერის განსაკუთრებულ ურთიერთობას (Krzysztoszek, 2022)

ომის ფონზე გამოჩნდა, რომ პოლონეთის მთავრობა თანმიმდევრულად უჭერს მხარს ორი საზოგადოების გაერთიანების პოლიტიკას. რაც გამოიხატება შემდგომში: უკრაინელი ლტოლვილებისთვის უსაფრთხო თავშესაფრის უზრუნველყოფა, სოციალური შეღავათები, საცხოვრებელი, საკვები, სამედიცინო დახმარება. უფასო განათლება ბავშვებისა და კოლეჯის სტუდენტებისთვის, ლეგალური დასაქმება. აქტიურია ახალგაზრდული გაცვლის საბჭო, რაც გულისხმობს მთავრობის მიერ დაფინანსებულ სასტიპენდიო პროგრამებს, უვიზო მიმოსვლასა და პოლონეთის შრომის ბაზრის გახსნას უკრაინელებისთვის (Посольство України в Республіці Польща, 2022). ამ პროგრამებმა, რომლებიც ომამდე წლების განმავლობაში მოქმედებდა, ხელი შეუწყო უპრეცედენტო მასშტაბის პირდაპირ კონტაქტს პოლონელებსა და უკრაინელებს შორის. რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, პოლონეთის რესპუბლიკა უკრაინის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორია ცენტრალურ ევროპაში. უკრაინა სიდიდით მეორე ქვეყანაა, სადაც პოლონური ექსპორტი გადის. შედეგად ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ყოველწლიურად უფრო და უფრო ვითარდება.

ამგვარად, გედროიცმა და მეროშევსკიმ თანამედროვე პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობებს ჩაუყარეს საფუძველი და წინ წამოწიეს ორი ერის შერიგების პოლიტიკა. ისტორიული მიწებისათვის ბრძოლის უარყოფამ პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობები გეოეკონომიკურ ლოგიკამდე მიიყვანა, სადაც მთავარია ეკონომიკური სიძლიერე.

მეთოდოლოგია

ნაშრომში ემპირიული დასკვნების გამოსატანად გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდები, რომელიც აერთიანებს, როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვების და ანალიზის ტექნიკას. საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის გამოვიყენეთ ლიტერატურული წყაროების დამუშავების, კოგნიტიური კარტირებისა და კონტენტ-ანალიზის მეთოდი, კერძოდ შემთხვევის ანალიზი.

წყაროები შეგროვდება შესაბამისი ლიტერატურის, მათ შორის აკადემიური სტატიების, პოლიტიკის ანგარიშებისა და მედია წყაროების სისტემური მიმოხილვით. მიმოხილვა ფოკუსირებული იქნება ძირითადი თემებისა და ტენდენციების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც დაკავშირებულია პოლონეთ-უკრაინის გეოეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან, გამოწვევებსა და შესაძლებლობებთან რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე.

რაოდენობრივი მონაცემები გაანალიზდება აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით, რათა მოხდეს საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვა რუსი მიგრანტების შემოდინებამდე და მას შემდეგ. ეს მოიცავს მონაცემთა ანალიზის ძირითად ინდიკატორებს, როგორებიცაა გეოეკონომიკური ლანდშაფტი, მშპ , განვითარების დონე, ინფლაცია, სიღარიბის მაჩვენებლები და ა.შ.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ლუტვაკის გეოეკონომიკური კონცეფცია (Luttwak, 1990) და „გედროიცის კონცეფცია“ (Koprowski, 2008).

დისკუსია

ორ ქვეყანას შორის ისტორიული წარსულის მიმოხილვის შემდეგ აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ წმინდად გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ საკითხებზე, რისთვისაც გამოყენებულია სამი მახასიათებელი: გეოეკონომიკური ლანდშაფტის შედარება, პოლონეთ-უკრაინას შორის დადებული მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონული ეკონომიკური და სამხედრო ბლოკები.

პოლონეთი ცენტრალური ევროპული სახელმწიფოა. დასავლეთით მას ესაზღვრება გერმანია, აღმოსავლეთით ლიეტუვა, ბელარუსი და რუსეთი (კალინინგრადის ოლქით), სამხრეთ-აღმოსავლეთით - უკრაინა, სამხრეთით - ჩეხეთი და სლოვაკეთი, ხოლო ჩრდილოეთით აქვს ფართო გასასვლელი ბალტიის ზღვაზე. ქვეყნის ფართობია 312 685 კვ. კმ. (71-ე ადგილი მსოფლიოში), მოსახლეობა - 38 093 101 კაცი, რომელთაგან აბსოლუტურ უმრავლესობას პოლონელები შეადგენენ (96%). სხვა ეთნიკური ჯგუფებია: სილეზიელები, უკრაინელები, გერმანელები და ა.შ. პოლონეთი ოფიციალურად არის საპარლამენტო რესპუბლიკა. 2020 წლის შეფასებით, ქვეყნის მშპ $1,223,460,000,000 შეადგენს (მე-19 ადგილი მსოფლიოში) (CIA, 2022).

უკრაინა აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოა. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ბელარუსი, ჩრდილო-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით - რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ-დასავლეთით - რუმინეთი და მოლდოვა, დასავლეთით - უნგრეთი, სლოვაკეთი და პოლონეთი. სამხრეთით აქვს გასასვლელი შავ და აზოვის ზღვებზე. ქვეყნის ფართობი შეადგენს 603,550 კვ. კმ. (48-ე მსოფლიოში), მოსახლეობა - 43,528,136 ადამიანი (35-ე მსოფლიოში). რაც შეეხება ეთნიკურ შემადგენლობას: უკრაინელები - 77,8%, რუსები - 17,3%, ბელარუსები - 0,6%, მოლდოველები - 0,5% და სხვ. კონსტიტუციის მიხედვით, უკრაინა საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. 2020 წლის მონაცემებით, უკრაინის მშპ $516.68 მილიარდს შეადგენს (მე-40 მსოფლიოში) (CIA, 2022). 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ დაწყებული ფართომასშტაბიანი შეჭრის შედეგად, 1,3 მილიონზე მეტმა უკრაინელმა ლტოლვილმა მეზობელ პოლონეთში მიიღო თავშესაფარი (Давигора, 2022).

ორივე ქვეყანა აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის რეგიონს მიეკუთვნება. ამავე დროს ისინი ინტერმარიუმის ბირთვს და ყველაზე დიდ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. პოლონეთი და უკრაინა ესაზღვრებიან რუსეთს, რომელიც როგორც მათთვის, ისე მთელი რეგიონისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ამ ქვეყნებში კარგად იციან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ტერიტორია. სერ ჰელფორდ ჯონ მაკკინდერის თანახმად: „ვინც მართავს აღმოსავლეთ ევროპას, ხელმძღვანელობს ჰართლენდს; ვინც მართავს ჰართლენდს, ხელმძღვანელობს მსოფლიო კუნძულს; ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს, ხელმძღვანელობს მსოფლიოს“ (გაჩეჩილაძე, 2017). ეს ფრაზა ხაზს უსვამს რეგიონის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის პარალელურად, პოლონეთ-უკრაინის გეოეკონომიკური ლანდშაფტის შედარებითი ანალიზი საინტერესო შედეგების მატრიცას გვაძლევს, რომელიც ასახულია ცხრილი #1-ში. ემპირიული დასკვნების გამოსატანად გეოეკონომიკურ ლანდშაფტში შედარებულია შემდეგი მახასიათებლები: ჩართულობა მსოფლიო ვაჭრობაში, კორუფციის აღქმა, გლობალური კონკურენტუნარიანობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკური თავისუფლება, განათლების დონე, ICT განვითარების ინდექსი, მილიტარიზაციის ინდექსი, მთავრობის ეფექტურობა, რეგულაციის ხარისხი და სავაჭრო ბალანსი.

მაჩვენებელი	ჩართულობა მსოფლიო ვაჭრობაში	კორუფციის აღქმა	გლობალური კონკურენტუნარიანობა	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	ეკონომიკური თავისუფლება	განათლების დონე	ICT განვითარების ინდექსი	მილიტარიზაციის ინდექსი	მთავრობის ეფექტურობა	რეგულაციის ხარისხი	სავაჭრო ბალანსი

პოლონეთი	4,96 (31-ე მსოფლიოში)	56 (42-ე მსოფლიოში)	68,9 (37-ე მსოფლიოში)	17,388.00	68.7 (39-ე მსოფლიოში)	0,869 (23)	39,9 (40)	50	66,35	76,44	-3.478 $
უკრაინა	3,97 (95-ე მსოფლიოში)	32 (122-ე მსოფლიოში)	57 (85-ე მსოფლიოში)	304.00	54.1 (130-ე ადგილი)	0,799 (47)	35,6 (45)	16	38,94	40,87	0.9 $

ცხრილი #1: პოლონეთის და უკრაინის გეოეკონომიკური ლანდშაფტის ძირითადი მახასიათებლები.

წყარო: CIA, 2022; CIA, 2022; World Economic Forum, 2022; Transparency International, 2021; Schwab & Zahidi, 2020; World Bank Group, 2020; The Heritage Foundation, 2022; Human Development Report, 2020; Dutta & Lanvin, 2021; Bayer, 2021; World Bank Group, 2020

მოცემული სტატისტიკური მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ პოლონეთი მთელი რიგი მაჩვენებლებით წინ უსწრებს უკრაინას. უკრაინა ჩამორჩება მეზობელს მსოფლიო ვაჭრობაში ჩართულობით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, გლობალური კონკურენტუნარიანობითა და ეკონომიკური თავისუფლებით. ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ადგილი უკავია. უკრაინა განათლების დონით რამდენიმე პოზიციით ჩამორჩება პოლონეთს, თუმცა მსოფლიოში მას მაინც კარგი პოზიცია უჭირავს.

უკრაინის ეკონომიკურ ჩამორჩენილობას სამი ფაქტორი განაპირობებს: 1) კორუფცია. ქვეყანა ამ მაჩვენებლით ევროპაში პირველ ადგილს იკავებს. 2) ომი. 2014 წელს დონბასში ომის დაწყების შემდგომ უკრაინამ გაზარდა სამხედრო დანახარჯები და ეს დიდ ტვირთად აწევს მას. ამ მხრივ, ქვეყანას მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია. მომდევნო წლებში ეს ტენდენცია გაგრძელდა არა მარტო უკრაინაში, არამედ მის სამეზობლოშიც, მათ შორის პოლონეთში. რუსეთის მიერ შავი ზღვის პორტების ბლოკადები, თავდასხმები ზღვიდან და კომერციული ნაოსნობის შეფერხება ასევე დიდ გავლენას ახდენს აღნიშნულ ქვეყნებზე,რასაც ემატება რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ 2022 წლის თებერვალში. 3) მთავრობის დაბალი ეფექტურობა. უკრაინა ორჯერ ჩამორჩება პოლონეთს ამ მაჩვენებლებით.

მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებული სახელმწიფოა, ევროკავშირში ის ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნად რჩება. პოლონეთი ჩამორჩება

მეზობელს მხოლოდ მილიტარიზაციის კუთხით. კიდევ ერთი განსხვავება სავაჭრო ბალანსს უკავშირდება, პოლონეთს ის უარყოფითი, ხოლო უკრაინას დადებითი აქვს. ICT განვითარების ინდექსის მიხედვით, პოლონეთსა და უკრაინას მსოფლიოში კარგი პოზიციები უკავიათ.

პოლონეთსა და უკრაინას შორის დადებული მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები. გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ნგრევის შედეგად, კომუნისტური ბორკილებიდან გათავისუფლებული პოლონეთი და უკრაინა რთული ამოცანების წინაშე აღმოჩნდნენ. საჭირო იყო სოციალისტური რელსებიდან კაპიტალისტურზე, ხოლო გეგმური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. უკრაინელმა და პოლონელმა დიპლომატებმა იცოდნენ, რომ მათ ქვეყნებს აუცილებლად უნდა დაემყარებინათ მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები. ამას ისტორიულ-კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორები უწყობდნენ ხელს. 1991 წელს პოლონეთი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც აღიარა უკრაინის დამოუკიდებლობა. 1992 წლის 8 იანვარს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა. დღეისათვის ორ სახელმწიფოს შორის ხელი მოეწერა 146 მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებას. დოკუმენტების ძირითადი თემები იყო: სავაჭრო-ეკონომიკური, სატრანსპორტო, ენერგეტიკული, ეკოლოგიური, კულტურულ-ჰუმანიტარული და სამხედრო-ტექნიკური (Посольство України в Республіці Польща, 2022).

1990-იან წლებში პოლონეთსა და უკრაინას შორის ხელმოწერილ ეკონომიკურ და ეკონომიკურ-პოლიტიკური ხელშეკრულებიდან აღსანიშნავია: ხელშეკრულება კეთილმეზობლობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ (1992) (United Nations Treaty Collestion, 2022), ხელშეკრულება მანქანათმშენებლობის დარგში თანამშრომლობის შესახებ (1996) (Верховна Рада України, 2022), ხელშეკრულება ქვანახშირის წარმოებაში თანამშრომლობის შესახებ (1997) (Верховна Рада України, 2022).

უკრაინის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც დაიდო პოლონეთთან იყო ხელშეკრულება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ (2005). ამ დროისთვის, კიევში ვიქტორ იუშჩენკო მოვიდა სათავეში. ქვეყანამ პროევროპული და ევროატლანტიკური საგარეო კურსი აიღო. უკრაინას ახალი კურსის აქტიურ მხარდამჭერად პოლონეთი მოევლინა, რომელიც იმ დროისთვის ევროკავშირისა და ნატოს წევრი იყო. კიევმა გააღრმავა პოლიტიკური, დიპლომატიური, სამხედრო, სატრანსპორტო და ეკონომიკური ურთიერთობები ვარშავასთან. ეს ნათლად აისახა პოლონეთ-უკრაინის საქონლისა და მომსახურების ვაჭრობასა და ინვესტიციური თანამშრომლობის დინამიკაზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის საპასუხოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე სახელმწიფოს გეოეკონომიკური ინტერესი ამოძრავებდა, რასაც მათი უახლესი ისტორიული წარსულიც ცხადყოფს.

მაგალითად, 2005 წლიდან პოლონეთის სათავეში მემარჯვენე ნაციონალ-კონსერვატორები მოვიდნენ. პოლონეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების შედეგად, ძმებმა კაჩინსკებმა და მათ მიერ დაარსებულმა პარტიამ მიზნად დაისახეს აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში გეოპოლიტიკური გავლენის დაბრუნება. თუმცა ამჟამად ეს იქნებოდა არა სამხედრო-პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური. პოლონეთმა მიზნად დაისახა რეგიონში ეკონომიკური ლიდერობა.

2004 წლიდან კიევში პროევროპული ძალები მოვიდნენ სათავეში. იუშჩენკო-ტიმოშენკოს ხელისუფლებამ დიდი ნაბიჯები გადადგა ნატოსა და ევროკავშირისკენ. მათ მიზნად დაისახეს დასავლეთის ქვეყნებთან თბილი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. ამავე დროს, უკრაინას მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა უნდა დაემყარებინა სამეზობლოსთან, პირველ რიგში პოლონეთთან. პოლონეთი ასრულებს ხიდის როლს უკრაინასა და ევროკავშირს შორის. ამ მეზობელთან ეკონომიკური თანამშრომლობა და ამ პარტნიორობის შედეგად თავისი ეკონომიკური პოტენციალის განვითარება, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტების განხორციელება უკრაინის გეოეკონომიკურ სიძლიერეს განაპირობებს და მის ევროინტეგრაციას აჩქარებს.

2014 წელს სურათი კარდინალურად შეიცვალა. რუსეთის აგრესიის ფონზე, პოლონეთისა და უკრაინის სამხედრო და ეკონომიკური ურთიერთობები გაღრმავდა. 2015 წელს ახალი პრეზიდენტი ანჯეი დუდა თავის ინაუგურაციაზე ახსენებს სიტყვა „ინტერმარიუმს“, რაც მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ქმედებების საფუძველი ხდება. მომდევნო წლებში პოლონეთი საფუძველს უყრის რეგიონის სამ მნიშვნელოვან საერთაშორისო გაერთიანებას და ააქტიურებს ურთიერთობას კიევთან. ამის დასტურია 2016 წელს, ვარშავაში მინისტრთა კაბინეტების ხელმოწერილი გენერალური შეთანხმება თავდაცვით სფეროში (Romanowska, 2017). 2022 წელს უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეჭრიდან, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი 2023 წლის 11 იანვარს, პოლონეთის, უკრაინისა და ლიეტუვას სახელმწიფო მეთაურების მიერ ხელმოწერილი ლიუბლინის სამკუთხედის მეორე სამიტის შედეგების ერთობლივი დეკლარაციაა. აღნიშნული დოკუმენტი ხაზს უსვამს ვარშავისა და ვილნიუსის მყარ მხარდაჭერას უკრაინის ევროატლანტიკური გზის მიმართ, მის სამხედრო, დიპლომატიურ და ეკონომიკურ დახმარებას. ევროკავშირისა და ნატოს გარდა, პოლონეთი ჰპირდება უკრაინას სხვადასხვა რეგიონულ პროექტებში ჩართვას, მათ შორის „სამი ზღვის ინიციატივაში“ (President of Ukraine, 2023).

შესაბამისად, ვარშავისთვის დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური და მჭიდრო კავშირების დამყარება, მათ შორის უკრაინასთან. პოლონეთისთვის მნიშვნელოვანია უკრაინა იხილოს ძლიერ ევროპულ და მეგობრულ სახელმწიფოდ, და არა რუსეთის სატელიტად, რომელიც მის უსაფრთხოებას პრობლემას შეუქმნის, როგორც ეს ბელარუსის შემთხვევაში ვნახეთ. პოლონეთის უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია უკრაინის სუვერენიტეტთან და ტერიტორიულ მთლიანობასთან. ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტორი ხსნის იმ მიზეზს, თუ რატომ არის ქვეყანა ერთ-ერთი მოწინავე კიევის მოსკოვთან ბრძოლასა და რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერებაში.

სასაქონლო სტრუქტურა

პოლონეთ-უკრაინის გეოეკონომიკური ურთიერთობების გაანალიზებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასაქონლო სტრუქტურა და ძირითადი ტენდენციები, რომელიც ასახულია ცხრილ #2-ში. ცხრილში შედარებულია ორი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა 2017 და 2022 წლებში (ომამდე და ომის შემდგომ). მათ შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობების შესწავლა და მნიშვნელოვანი განსხვავებების გაანალიზება პოლონეთ-უკრაინის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების ტრანსფორმაციის დინამიკას ასახავს.

პროდუქცია	სავაჭრო ბრუნვა 2017 (მილიარდი აშშ დოლარი)	სავაჭრო ბრუნვა 2022 (მილიარდი აშშ დოლარი)	პროცენტული ცვლილება
სამანქანო დანადგარები	3.2	6.8	+112.5%
ავტომობილები	1.9	3.7	+94.7%
ელექტრომოწყობილობები	0.8	0.9	+12.5%
პლასტმასი	0.7	0.7	0.0%
ქიმიკატები	0.6	0.9	+50.0%
მეტალები	0.9	1.3	+44.4%

ტექსტილი	0.4	0.4	0.0%
საკვები პროდუქტები	0.8	0.8	0.0%
მინერალური პროდუქტები	0.5	0.5	0.0%
სხვა	0.9	0.7	-22.2%

ცხრილი #2: პოლონეთ-უკრაინის სავაჭრო ბრუნვა

წყარო: State Statistics Service of Poland, 2023; State Statistics Service of Ukraine, 2023

2017 წელს, სასაქონლო სტრუქტურა პოლონეთსა და უკრაინას შორის მოიცავდა შემდეგ ძირითად სავაჭრო პუნქტებს: პოლონეთი უკრაინაში უმთავრესად ახორციელებდა სამანქანო დანადგარების და აღჭურვილობის, ქიმიკატების, ავტომობილების, ელექტრომოწყობილობის და მინერალური საწვავის ექსპორტს.

უკრაინა პოლონეთში ძირითადად ახორციელებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს, როგორებიცაა: მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი, ქერი), ზეთისხილი, მცენარეული ზეთები და ხის პროდუქტები.

პოლონეთ-უკრაინის სავაჭრო ბრუნვა 2017 წელს შემდეგ პროდუქციას მოიცავდა: სამანქანო დანადგარები ($3,2 მლრდ), ავტომობილები ($1,9 მლრდ), ელექტრომოწყობილობები ($0,8 მლრდ), პლასტმასი ($0,7 მლრდ), მეტალები ($0,9 მლრდ) და ა. შ.

2022 წელს პოლონეთსა და უკრაინას შორის სასაქონლო სტრუქტურამ 2017 წელთან შედარებით გარკვეული ცვლილებები განიცადა: პოლონეთი აგრძელებდა უკრაინაში მანქანებისა და აღჭურვილობის, ქიმიკატების, სატრანსპორტო საშუალებების და ელექტრო ტექნიკის ექსპორტს და შეინარჩუნა თავისი პოზიცია, როგორც ამ საქონლის მთავარმა მიმწოდებელმა.

უკრაინამ თავის მხრივ შეინარჩუნა თავისი როლი, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების მნიშვნელოვანი ექსპორტიორი პოლონეთში, განსაკუთრებით მარცვლეულის, ზეთისხილისა და მცენარეული ზეთების ექსპორტში.

სამანქანო დანადგარებით ვაჭრობა $6,8 მილიარდამდე გაიზარდა, ავტომობილები - $3,7 მლრდ, მეტალები - $1,3 მლრდ და სხვ. ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პლასტმასით, ტექსტილით, საკვები და მინერალური პროდუქტებით ვაჭრობა არ გაზრდილა.

2017 და 2022 წლებში პოლონეთსა და უკრაინას შორის სასაქონლო სტრუქტურის შედარებისას შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები: ყველაზე დიდი პროცენტული ცვლილება განიცადა სამანქანო დანადგარებმა, გაიზარდა 112,5%-ით, ავტომობილები - 94,7%-ით. ყველაზე მცირე

სუფიციტი ჰქონდა ელექტრომოწყობილობებს. ამ პროდუქციების ფონზე შემცირდა სხვების პროცენტული წილი 22,2%-ით.

პოლონეთის ექსპორტი უკრაინაში წლების განმავლობაში შედარებით თანმიმდევრული იყო. ეს მიუთითებს პოლონეთის საექსპორტო სექტორების სტაბილურობის დონეზე. უკრაინის წარმოების წრე პოლონეთში ასევე ავლენდა სტაბილურობას, რადგან სოფლის მეურნეობა კვლავაც გადამწყვეტ როლს ასრულებს უკრაინის ეკონომიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სავაჭრო ობიექტები თანმიმდევრული იყო, ამ პერიოდის განმავლობაში შესაძლოა არსებობდეს ცვალებადობა ვაჭრობის მოცულობასა და ამ საქონლის კონკრეტულ ქვეკატეგორიებში. ფაქტორებმა, როგორებიცაა ეკონომიკური პირობები, პოლიტიკური მოვლენები და გლობალური ბაზრის დინამიკა, შეიძლება გავლენა იქონიოს პოლონეთსა და უკრაინას შორის ორმხრივი ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურაზე.

შედარებისთვის 2017 წელს პოლონეთსა და უკრაინას შორის ორმხრივი ვაჭრობის მთლიანი მოცულობა იყო დაახლოებით $6.8 მილიარდი. 2022 წლისთვის ეს ვაჭრობის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და დაახლოებით 9,5 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების ზრდაზე მიუთითებს (ICPS, 2018).

2017 წელს პოლონეთის ექსპორტმა უკრაინაში დაახლოებით 3,6 მილიარდი დოლარი შეადგინა. წლების განმავლობაში, პოლონეთის ექსპორტი უკრაინაში სტაბილურად გაიზარდა და 2022 წელს მიაღწია დაახლოებით $5.2 მილიარდს. ეს ზრდა ხაზს უსვამს პოლონური საქონლისა და პროდუქტების მნიშვნელობას უკრაინის ბაზარზე (Trading Economics, 2023)

2017 წელს უკრაინის ექსპორტი პოლონეთში დაახლოებით 3,2 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. 2022 წლისთვის უკრაინის ექსპორტი პოლონეთში გაიზარდა დაახლოებით 4,3 მილიარდ დოლარამდე, რაც მიუთითებს პოლონეთში უკრაინის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის დადებით ტენდენციაზე (OEC, 2017).

სავაჭრო ბალანსის კუთხით, პოლონეთმა ზოგადად შეინარჩუნა ე. წ. აქტიური სალდო ჭარბი რაოდენობა უკრაინასთან ვაჭრობაში. ჭარბი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ პოლონეთის ექსპორტის ღირებულება უკრაინაში აღემატებოდა უკრაინის ექსპორტის ღირებულებას პოლონეთში (Trading Economics, 2023)

ეს სტატისტიკა გვიჩვენებს განვითარებად სავაჭრო დინამიკას და პოლონეთ-უკრაინის სავაჭრო ურთიერთობების მზარდ მნიშვნელობას 2017-2022 წლებში.

რეგიონული ეკონომიკური და სამხედრო ბლოკები

ქვეყნების ურთიერთობების გაანალიზებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს რეგიონული ეკონომიკური და სამხედრო ბლოკები. შესაბამისად, საჭიროდ ვთვლით, განვიხილოთ რამდენიმე

მათგანი. 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და დონბასში ომის დაწყების შედეგად პოლონეთის საგარეო პოლიტიკა აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპასა და „აღმოსავლეთი პარტნიორობის“ ქვეყნებში გააქტიურდა. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით 2014-2017 წლებში სამხედრო დახმარებით პოლონეთი მესამე ადგილს იკავებდა ($6,5 მლნ), ამერიკისა და კანადის შემდეგ (Lukasik, 2020). პოლონეთმა, ისევე როგორც ნატოს აღმოსავლეთი ფლანგის სხვა სახელმწიფოებმა, რომლებმაც სათანადოდ შეაფასეს მოსკოვიდან მომავალი საფრთხეები, საგრძნობლად გაზარდა თავისი სამხედრო დანახარჯები. 2019 წელს იენს სტოლტენბერგის შეფასებით, ალიანსის 7 ქვეყნიდან, რომლის 2018 წლის ხარჯები თავდაცვაზე 2% აჭარბებდა, ოთხი უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერია: ესტონეთი (2,07%), პოლონეთი (2,05%), ლატვია (2,03%), ლიეტუვა (2%). აღსანიშნავია, რომ ოთხივე სახელმწიფო რუსეთს ემეზობლება. (Gerasymchuk, 2019).

2023 წლის მაისის შეფასებით, კიევისთვის გაწეულმა სამხედრო დახმარებამ $3 მილიარდს გადააჭარბა. პოლონეთი ამ მაჩვენებლით ქვეყნების ათეულში შედის (Европейская Правда, 2023).

რაც შეეხება რეგიონულ პროექტებს, 2016 წელს პოლონეთმა და ხორვატიამ „სამი ზღვის ინიციატივას“ ჩაუყარეს საფუძველი. მასში აღმოსავლეთ-ცენტრალური 12 სახელმწიფო გაერთიანდა. აღნიშნული პლატფორმა საერთაშორისო ფორუმს წარმოადგენს, თუმცა მას აქვს საფუძველი საერთაშორისო ორგანიზაციად ჩამოყალიბდეს. 2017 წლის ვარშავის სამიტზე „სამი ზღვის ინიციატივის“ მთავარი მიზნები განისაზღვრა: ევროკავშირის ენერგეტიკული პრინციპების შესრულება და სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობა (TEN-T). ფორუმის წევრებმა გამოთქვეს სურვილი, რომ აღნიშნული ინიციატივა უკრაინისა და საქართველოს ხარჯზე გაფართოვდება (მიქაუტაძე & ჯანანაშვილი, 2022). ფორუმის ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო-ენერგეტიკული პროექტები. მათ შორის დაიგეგმა უმნიშვნელოვანესი პროექტი: გაზსადენების BRUA Project და LNG მშენებლობა, რომლის მიზანია აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება (CEEP, 2018) (3seas, 2022).

ამავე დროს, პოლონეთის აქტიური ჩართულობით საფუძველი ჩაეყარა ორ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს: 2015 წელს „ბუქარესტის ცხრიანს“ და 2020 წელს „ლიუბლინის სამკუთხედს“. პირველში აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ცხრა სახელმწიფო შევიდა, მეორეში კი პოლონეთთან ერთად, უკრაინა და ლიეტუვა გაერთიანდნენ. ეს ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ პოლონეთი ეკონომიკურ პირველობასთან ერთად, რეგიონის უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე ზრუნავს. ეს ედვარდ ლუტვაკის აზრის პრაქტიკულ დადასტურებას წარმოადგენს.

დასკვნა

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლონეთ-უკრაინას შორის ურთიერთობებმა გამოიარა ხანგრძლივი ტრანსფორმაციის გზა. დროთა განმავლობაში გეოპოლიტიკური ურთიერთობების პარალელურად წინა პლანზე წამოიწია გეოეკონომიკური ინტერესები. მათი თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროებში ეფუძნება ქვეყნების განვითარებისთვის საჭირო მნიშვნელოვან რესურსებს, შესაბამისად, ორი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები დადებით ხასიათს ატარებს. აკადემიური მასალის ემპირიული გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ორი ქვეყნის მიერ იმპლემენტირებული გეოეკონომიკური სტრატეგიები და მათთან ერთად სამხედრო თუ პოლიტიკური თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ურთიერთობების გაღრმავებაში, რაც გამოიხატა კიდეც, მათ შორის დადებულ მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაში და არსებული სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზებით ზრდად ხასიათს ატარებს. მიუხედავად, ქვეყნებს შორის მრავალსაუკონოვან ურთიერთობებში არსებული დაძაბულობისა, აშკარაა პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია, რაც განსაკუთრებით გამოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. ვარშავა აღარ ეყრდნობა გეოპოლიტიკურ ლოგიკას, რომელიც ტერიტორიულ გაფართოებას გულისხმობს. დღეს ქვეყანა გეოპოლიტიკურისა და გეოეკონომიკური ლოგიკის სინთეზსს ეფუძნება, ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთმა აგრესიული ომი წამოიწყო უკრაინის წინააღმდეგ. ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის გააქტიურებაში. ვარშავის მეთაურობით აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში გაჩნდნენ ახალი ეკონომიკური და სამხედრო გაერთიანებები, რომლებსაც სრულყოფილ საერთაშორისო ორგანიზაციებად ჩამოყალიბების შესაძლებლობები აქვთ. ასევე, პოლონეთმა დონბასში ომის დაწყებისთანავე, დიდი სამხედრო დახმარება გაუწია მეზობელ ქვეყანას. დღეს კი ვარშავა ერთ-ერთი ლიდერია ამ საქმეში.

სხვა მხრივ შეიძლება ითქვას, რომ პოლონეთი არის უკრაინის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ერთ-ერთი უმთავრესი მხარდამჭერი და ხშირ შემთხვევაში დამაკავშირებელი რგოლი. ამასთან იგი ყოველთვის მხარს უჭერდა უკრაინის არმიის მოდერნიზაციას და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) თანამშრომლობას კიევთან. ასევე აქტიურად უჭერდა მხარს უკრაინის საზოგადოების პროევროპულ და დემოკრატიულ მისწრაფებებს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის რთულ შუამავლებში ჩართვისა და ჰუმანიტარული დახმარების გაწევით, როგორც 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუციის დროს, ასევე 2014 წლის თებერვალში მაიდანზე ღირსების რევოლუციის დროსა და 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ. პოლონეთ-უკრაინის ეკონომიკური თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის განვითარებისთვის და მეტწილად ხელს უწყობს რეგიონში მნიშვნელოვან ძალად ჩამოყალიბებას.

ბიბლიოგრაფია

გაჩეჩილაძე, რ. (2017). საქართველო მსოფლიო კონტექსტში. თბილისი.

მიქაუტაძე, გ., & ჯანანაშვილი, თ. (2022). ინტერმარიუმი: თეორია და პრაქტიკა. YATA Georgia.

პაპავა, ვ. (2002). პოსკომუნისტური კაპიტალისტური ეკონომია და საქაართველოს ეკონომიკა. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და სამეცნიერო კვლევების ფონდი.

სნაიდერი, ტ. (2021). ერების რეკონსტრუქცია: პოლონეთი, უკრაინა, ლიეტუვა, ბელარუსი 1569-1999. თბილისი: PoeziaPress.

3seas. (2022). *Priority Projects* . Retrieved from https://www.3seas.eu/about/progressreport [ნანახია: 12.12.2022]

Adamski, Ł. (2016). UkrainianVolhynian Negationis Reflections on the 2016 Polish–Ukrainian Memory Conflict1. *Forum noveishei vostochnoevropeiskoi istorii i kul'tury 14, no. 2*, 102-124.

Bayer, M. (2021). *GLOBAL MILITARISATION INDEX 2021.* Retrieved from https://www.bicc.de/uploads/tx_bicctools/BICC_GMI_2021_EN.pdf [ნანახია: 12.12.2022]

CEEP. (2018, 09 11). *Flagship projects of the Three Seas Initiative in the field of energy* . Retrieved from https://www.ceep.be/flagship-projects-of-the-three-seas-initiative-in-the-field-of-energy/ [ნანახია: 12.12.2022]

CIA. (2022, 12 2). *Ukraine*. Retrieved from THE WORLD FACTBOOK: https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/ukraine/ [ნანახია: 12.12.2022]

Dutta , S., & Lanvin, B. (2021). *The Global Innovation Index 2021*. Retrieved from file:///C:/Users/tengi/Downloads/gii-full-report-2021.pdf [ნანახია: 12.12.2022]

Gerasymchuk, S. (2019). Bucharest Nine: Looking for Cooperation on NATO's Eastern Flank? *GERASYMCHUK, S. The Friedrich Ebert Stiftung*, 4-10.

Human Development Report. (2020). *Human Development Index (HDI) Ranking*. Retrieved from https://hdr.undp.org/en [ნანახია: 12.12.2022]

ICPS. (2018). *UKRAINE-POLAND RELATIONS.* Retrieved from https://icps.com.ua/assets/uploads/images/files/ua_pl_relations_icps.pdf?fbclid=IwAR0TleeDa_vxJc65E7HbMqiYfhoNbDC8P4JSmW3im2bFbBx39lXuEv4H8v0

Klymchuk, I. (2022). Features of Ukrainian-Polish military-technical cooperation (1991–2022). *The security architecture of European and Euro-Atlantic spaces*, 115-125.

Krzysztoszek, A. (2022, November 11). *Poles show unwavering support to Ukraine despite missile strike.* Retrieved December 2022, from Efficacité et Transparence des Acteurs Européens. : https://www.euractiv.com/section/politics/news/poles-show-unwavering-support-to-ukraine-despite-missile-strike/

Kvinikadze, G. (2017). *Geo-Economics: Theory and Practice for Small Countries with Transition Economy View from Georgia (in English).* Dusseldorf: LAMBERT Academic Publishing .

Lukasik, P. (2020). Polish-Ukrainian Relations: Russia and the Geopolitical Changes in the Region. *Analyzing Political Tensions Between Ukraine, Russia, and the EU*, 180-95.

Luttwak, E. (1990). From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce. *The National Interest*.

OEC. (2017). *Bilateral Trade by Products*. Retrieved from https://oec.world/en/profile/bilateral-country/pol/partner/ukr?dynamicBilateralTradeSelector=year2017&fbclid=IwAR2spSRUa1yQcgcHg4fi5ng6N9TixQ02cNFFBB0wl-buJzb2fAGSOZ7GEkU

Polish Government. (2022, 05 18). *Poland and Ukraine - Thirty Years of Partnership and Friendship.* Retrieved from Poland in South Africa: https://www.gov.pl/web/southafrica/poland-and-ukraine---thirty-years-of-partnership-and-friendship

President of Ukraine. (2023, 01 11). *Joint declaration of President of Ukraine Volodymyr Zelenskyy, President of Lithuania Gitanas Nausėda and President of Poland Andrzej Duda following the Second Summit of the Lublin Triangle*. Retrieved from The Presidential Office of Ukraine: https://www.president.gov.ua/en/news/spilna-deklaraciya-prezidenta-ukrayini-volodimira-zelenskogo-80321

Reeves, C. (2021). DISCERNING POLAND'S CONTEMPORARY STRATEGIC CULTURE. *Politeja No. 75*, 283-305.

Romanowska, A. (2017, 06 26). *Defense Cooperation between Poland and Ukraine: Present State and Prospects*. Retrieved from THE WARSAW INSTITUTE : https://warsawinstitute.org/defense-cooperation-between-poland-and-ukraine-present-state-and-prospects/

Schwab, K., & Zahidi, S. (2020). *The Global Competitiveness Report*. Retrieved from https://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2020.pdf [ბოლო ნახვა: 12.12.2022]

Solomchuk, D. (2021, August 20). Ukraine and Poland: strategic partners, neighbours and friends. (O. Gnydiuk, Interviewer)

Statistics Poland. (2023). *State Statistics Service of Poland*. Retrieved from https://stat.gov.pl/en/?fbclid=IwAR3kBg4wSkfkCYecVgLlQQjDetC9UF1Qw94eXyhYi2M41ws5IMVwYB_iEsI

Statistics Ukraine. (2023). *State Statistics Service of Ukraine*. Retrieved from https://www.ukrstat.gov.ua/

Stryjek, T., & Konieczna-Sałamatin, J. (2021). *The Politics of Memory in Poland and Ukraine.* Taylor & Francis.

The Heritage Foundation. (2022). *2022 Index of Economic Freedom*. Retrieved from https://www.heritage.org/index/ranking [ნანახია: 12.12.2022]

Trading Economics. (2023). *Poland Exports to Ukraine.* Retrieved from https://tradingeconomics.com/poland/exports/ukraine?fbclid=IwAR3xRVeSSLtlEdtHaRDlip6yDLHKUe4fWDRCb1JR2haYueH_ANIYNDITwjs

Transparency International. (2021). *CORRUPTION PERCEPTIONS INDEX*. Retrieved from https://www.transparency.org/en/cpi/2021 [ბოლო ნახვა: 12.12.2022]

United Nations Treaty Collestion. (2022). *Treaty between the Republic of Poland and Ukraine on good neighbourliness, friendly.* Retrieved from https://treaties.un.org/doc/Publication/UNTS/No%20Volume/56629/Part/I-56629-080000028048b98c.pdf [12.12.2022]

Wallerstein, I. (1979). *The Capitalist World-Economy: Essays.* Cambridge: Cambridge University Press.

World Bank Group. (2020). *Foreign direct investment, net inflows (BoP, current US$)*. Retrieved from https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?name_desc=false [ნანახია: 12.12.2022]

World Bank Group. (2020). *Foreign direct investment, net inflows (BoP, current US$)*. Retrieved from https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?name_desc=false [ნანახია: 12.12.2022]

World Economic Forum. (2022). *The Global Enabling Trade Report*. Retrieved from https://www3.weforum.org/docs/WEF_GETR_2016_report.pdf [ბოლო ნახვა: 12.12.2022]

Алексашенко, С. (1990). Экономическая реформа: польский путь. *Мировая экономика и международные отношения, No 7.* .

Бойко, Н., & Скокова, Л. (2022). УКРАЇНСЬКО-ПОЛЬСЬКІ РЕЛЯЦІЇ ПІД ЧАС ВІЙНИ 2022 РОКУ В УКРАЇНІ: ПІДҐРУНТЯ ТА НАСЛІДКИ (СОЦІОЛОГІЧНИЙ АНАЛІЗ). *The security architecture of European and Euro-Atlantic space*, 13-28.

Бучин, М. (2022). ОСОБЛИВОСТІ ВІЙСЬКОВОЇ СПІВПРАЦІ МІЖ УКРАЇНОЮ ТА ПОЛЬЩЕЮ В КОНТЕКСТІ РОСІЙСЬКО-УКРАЇНСЬКОЇ ВІЙНИ. *The security architecture of European and Euro-Atlantic space*, 29-41.

Верховна Рада України. (2022). *Угода між Міністерством вугільної промисловості України та Міністерством економіки Республіки Польща про співробітництво в галузі вугільної промисловості*. Retrieved from https://zakon.rada.gov.ua/laws/card/616_135 [ნანახია: 12.12.2022]

Верховна Рада України. (2022). *Угода між Міністерством машинобудування, військово-промислового комплексу і конверсії України та Міністерством промисловості і торгівлі Республіки Польща про співробітництво в галузі машинобудування.* Retrieved from https://zakon.rada.gov.ua/laws/show/616_087#Text [ნანახია: 12.12.2022]

Давигора, О. (2022, 10 15). *Понад 80% біженців з України ніколи не працювали у Польщі, Чехії та Румунії - дослідження*. Retrieved from УНІАН: https://www.unian.ua/economics/finance [ნანახია: 12.12.2022]

Европейская Правда. (2023, 05 24). *Военная помощь Украине со стороны Польши превысила 3 млрд евро*. Retrieved from https://www.eurointegration.com.ua/rus/news/2023/05/24/7162348/ [ნანახია: 25.05.2023]

Карівець, І. (2022). СВОБОДА І ВІЙНА: ПОЛЬСЬКО-УКРАЇНСЬКІ ВІДНОСИНИ В КОНТЕКСТІ ШИРОКОМАСШТАБНОГО РОСІЙСЬКОГО ВТОРГНЕННЯ В УКРАЇНУ. *The security architecture of European and Euro-Atlantic space*, 106-114.

Посольство України в Республіці Польща. (2022). *Договірно-правова база між Україною та Польщею.* Retrieved from https://poland.mfa.gov.ua/spivrobitnictvo/233-dogovirno-pravova-baza-mizh-ukrajinoju-ta-polyshheju [ნანახია: 12.12.2022]

Посольство України в Республіці Польща. (2022, Квітня 04). *Політичні відносини між Україною та Польщею.* Retrieved from Власність Міністерства закордонних справ Україн: https://poland.mfa.gov.ua/spivrobitnictvo/228-politichni-vidnosini-mizh-ukrajinoju-ta-polyshheju

CIA. (2022, 12 2). *Poland*. Retrieved from THE WORLD FACTBOOK: https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/poland/#economy [ნანახია: 12.12.2022]